

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის N002/16 რეკომენდაციის მოკლე მიმოხილვა

ანა ლიპარტელიანი (სტუდენტი)

შეკითხვა

შეუძლია თუ არა ადვოკატს შეწყვიტოს კლიენტის წარმომადგენლობა პოზიციათა შეუთანხმებლობის შემთხვევაში. კერძოდ, როცა ადვოკატი კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე ურჩევს მას გარკვეული მოქმედებების შესრულებას, კლიენტი კი არ ასრულებს მათ?

სამართლებრივი შეფასება

ადვოკატმა არ უნდა ისარგებლოს საქმეზე უარის თქმის უფლებით ისეთ გარემოებებში, როდესაც კლიენტი უძლეური იქნება დროულად ისარგებლოს სხვა ადვოკატის იურიდიული დახმარებით, კლიენტისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით. ადვოკატი უფლებამოსილია ცალმხრივი ნების გამოვლენის საფუძველზე უარი თქვას საქმის წარმოებაზე, რამოდენიმე პირობის დაცვით, კერძოდ: აუცილებელია კონკრეტული გარემოებების არსებობა, რომელთა გამოც ადვოკატი უარს აცხადებს კლიენტის ინტერესების დაცვაზე, რაც ყოველი კონკრეტული შემთხვევისთვის ცალკე შეფასების საგანია; ამასთან, მომსახურებაზე უარის თქმამ კლიენტისთვის არ უნდა წარმოშვას ზიანის მიყენების საფუძველი და მას რეალურად უნდა შეეძლოს სხვა ადვოკატის მომსახურებით სარგებლობა და ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია როდის, საქმის წარმოების რომელ ეტაპზე ხდება ადვოკატის მიერ კლიენტისათვის მომსახურებაზე უარის თქმა. კომისიის განმარტებით, აღნიშნული პირობების ჩამოყალიბება კლიენტის ინტერესების უპირატესობითაა განპირობებული და ადვოკატს ბოჭავს საქმეზე უარის თქმის დროს ასეთი ნების ცალმხრივად გამოვლენის შემთხვევაში. გარდა აღნიშნულისა, ადვოკატის და კლიენტის ურთიერთობის შეწყვეტისას მხედველობაში მისაღებია, რომ ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც მან კლიენტისგან, სასამართლოსგან ან სხვა ორგანოსგან მიიღო კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით, თუმცა უფლებამოსილია გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი.

შეკითხვის ფაქტებზე დაყრდნობით, ეთიკის კომისიამ ივარაუდა, რომ კლიენტი არ დარჩება დაცვის უფლების გარეშე და მას არ ადგება ზიანი, რადგან აქვს საკმარისი დრო სურვილის შემთხვევაში სხვა ადვოკატს დაუკავშირდეს და, ასევე, ცოდნა რა მოქმედებები უნდა განახორციელოს, რათა პროცესის დასასრული არ იყოს მისთვის ზიანის მომტანი ადვოკატის მიერ მომსახურებაზე უარის თქმის მიზეზით. შესაბამისად, პოზიციათა შეუთანხმებლობა, ასეთ შემთხვევაში, შესაძლოა ჩაითვალოს საპატიო მიზეზად ადვოკატისათვის, რათა მან შეწყვიტოს კლიენტის წარმომადგენლობა კომისიის მიერ განმარტებული პირობების დაცვით.

დასკვნა

ადვოკატისა და კლიენტის პოზიციათა შეუთანხმებლობის შემთხვევაში, რაც გამოიხატა კლიენტის მიერ არაერთგზის ადვოკატის მითითებების უგულვებელყოფაში, ადვოკატს შეუძლია შეწყვიტოს კლიენტთან სამართლებრივი კლიენტის ინტერესების უპირატესი დაცვის საფუძველზე ჩამოყალიბებული პირობების გათვალისწინებით.